



სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080181798957119

№ 1767

03 / აპრილი / 2019 წ.

შპს „მაცნე-პრინტი“ გაფრთხილების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

ტენდერის ნომერი: NAT180017462;

შესყიდვის ობიექტი: 79800000 – ბეჭდვა და მასთან დაკავშირებული მომსახურებები;

მიმწოდებელი: შპს „მაცნე-პრინტი“ (ს/ნ: 405036848);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2019 წლის 7 თებერვალს წარმოდგენილ იქნა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2019 წლის 7 თებერვლის № MES71900131779 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის № 1384), რომლითაც სააგენტოს ეცნობა შპს „მაცნე-პრინტი“ (ს/ნ: 405036848) მიერ NAT180017462 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2018 წლის 26 ნოემბრის №11-94/2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. შპს „მაცნე-პრინტი“ სააგენტომ, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე sakmacne@gmail.com, 2019 წლის 13 თებერვლის № 612 წერილით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე განმარტების წარმოდგენა.

1.3. შპს „მაცნე-პრინტი“ 2019 წლის 18 თებერვალს წარმოადგინა 2019 წლის 16 თებერვლის განმარტება (რეგისტრაციის № 1764) NAT180017462 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2018 წლის 26 ნოემბრის № 11-94/2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ არ ჩაიბარა მიწოდებული საქონლის (დაბეჭდილი მასალის) ერთი ნაწილი, ვინაიდან იგი დაბეჭდილი იყო უხარისხოდ და არ შეესაბამებოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებსა და მოთხოვნებს. შესაბამისად, მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციის 2019 წლის 25 იანვრის №MES31900076001 წერილით ეცნობა პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე.

3. მიმწოდებლის პოზიცია

მიმწოდებლის განმარტების თანახმად, პრობლემა შეიქმნა გარეკანის მომზადებასთან დაკავშირებით. შემსყიდველ ორგანიზაციასთან შეთანხმებულ იქნა მასალის სახეობა და ფერი, როგორც თავად გარეკანის, ასევე ფოლგის. მიმწოდებლის მიერ გამოყენებულმა ფოლგამ არ დატოვა უნაკლო ანაბეჭდი. აღნიშნულის შემდგომ მიმწოდებელმა გამოიყენა ადგილობრივ ბაზარზე არსებული ოქროსფერი ფოლგა, რომელმაც გარეკანის მასალაზე დატოვე სრულყოფილი ანაბეჭდი. იმის გათვალისწინებით, რომ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადები იყო მცირე, სრულყოფილ ანაბეჭდის მიღების მიზნით, კომპანიამ გადაწყვიტა ხსენებული მასალის გამოყენება, თუმცა შემსყიდველმა ორგანიზაციამ დაინუნა ოქროსფერი ჩატვიფვრა და მიწოდებული საქონელი არ ჩაიბარა.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2018 წლის 6 ნოემბერს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ გამოაცხადა NAT180017462 ელექტრონული ტენდერი ბეჭდვისა და მასთან დაკავშირებული მომსახურებების (CPV79800000) შესყიდვის მიზნით.

4.2. სატენდერო კომისიის 2018 წლის 16 ნოემბრის № 2 სხდომის ოქმით, ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „მაცნე-პრინტი“ (ს/ნ: 405036848) და იგი მიწვეულ იქნა ხელშეკრულების გასაფორმებლად.

4.3. მხარეთა შორის 2018 წლის 26 ნოემბერს გაფორმდა № 11-94/2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, მიმწოდებელს უნდა გაენია ამავე ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული მახასიათებლების მქონე ალბომების ბეჭდვის მომსახურება ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 სამუშაო ვადაში, 2018 წლის 24 დეკემბრის ჩათვლით. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 28 295 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2019 წლის 31 იანვარი.

4.4. საქმეში არსებული 2018 წლის 28 დეკემბრის კონტროლის აქტით დგინდება, რომ მისაწოდებელი ალბომის – „ნაცნობი და უცნობი ყაზბეგი“ ბეჭდვა განხორციელდა უხარისხოდ, კერძოდ, ნაბეჭდს ახლდა ტექნიკური ხარვეზები. ასევე აღენიშნებოდა გარკვეული ლაქები.

4.5. მხარეთა შორის გაფორმებული 2018 წლის 28 დეკემბრის მიღება-ჩაბარების აქტით დგინდება, რომ მიმწოდებელმა განია 18 600 ლარის ღირებულების მომსახურება, რაც ხელშეკრულების საერთო მოცულობის 66%-ს შეადგენს.

4.6. მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციის 2019 წლის 25 იანვრის № MES31900076001 წერილით ეცნობა პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „მაცნე-პრინტი“ უნდა მიეცეს გაფრთხილება.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავედროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. განსახილველ შემთხვევაში, დგინდება, რომ მიმწოდებელმა არაჯეროვნად, კერძოდ, არასრულად შეასრულა მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. ამასთან, მის განმარტებაში მოცემული ვითარება ვერ ჩაითვლება მისი პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებად, ვინაიდან მიმწოდებელს უნდა გამოეყენებინა შესაბამისი მასალა და ბეჭდვის ტექნიკა შემსყიდველ ორგანიზაციასთან შეთანხმებული შედეგის მისაღებად. ამდენად, სააგენტო მიიჩნევს, რომ არსებობს მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების თუ შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს, მისი სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის აქტივობას.

7.5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, გაფრთხილების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი წერილობითი შეტყობინება სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, მაგრამ პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებით დაირღვევა თანაზომიერების პრინციპი. გაფრთხილება გამოიყენება ერთხელ და მოქმედებს ერთი წლის განმავლობაში. გაფრთხილებულ მიმწოდებელთა სიას სააგენტო განათავსებს ვებგვერდზე.


7.6. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. განსახილველ შემთხვევაში, მართალია, მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, მაგრამ სააგენტო ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ მან შეასრულა 18 600 ლარის ღირებულების მომსახურება, რაც ხელშეკრულების საერთო მოცულობის 66%-ს შეადგენს. ამდენად, სააგენტო მიიჩნევს, რომ, ამ ეტაპზე, შპს „მაცნე-პრინტის“ შავ სიაში დარეგისტრირებით დადგება არათანაზომიერი შედეგი და მიზანშეწონილია მის მიმართ გაფრთხილების გამოყენება.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტით და დაადგინა:

- 1. შპს „მაცნე-პრინტს“ (ს/ნ: 405036848) 2019 წლის 4 აპრილს მიეცეს გაფრთხილება.
- 2. დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს სააგენტოს ვებგვერდზე შესაბამისი ჩანაწერის გაკეთება.
- 3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე



ლევან რაზმაძე